

ეზღლთა  
ლა   
ფჳლთა  
მნათობ-  
თათჳს





# О ЗНАКАХ ЗОДИАКА И СЕМИ СВЕТИЛАХ

Астрологический трактат XII века

Издание, предисловие и обзор языка памятника  
А. Г. Шанидзе



# ე ვ ლ თ ა ლ ა შ ჯ ლ თ ა მ ნ ა თ ო ბ თ ა თ ვ ს

ასტროლოგიური თხზულება XII საუკუნისა

გამოსცა, წინასიტყვაობა და ენობრივი მიმოხილვა დაურთო

აკაკი შანიძემ



აქ დაბეჭდილი ასტროლოგიური თხზულება მე-12 საუკუნისაა და ნათარგმნი ჩანს. იგი შეიცავს სამ თხზულებას: მოძღვრებას ციურ ეტლთა შესახებ (საეტლოს), მოძღვრებას მთვარის ამოსვლა-ჩასვლის შესახებ (სამთვარიოს) და მოძღვრებას შვიდი მნათობის შესახებ (მზისა, მთვარისა და სუთი ცთომილისა). ძველის ენა გვაწოდის სიტყვებსა და გრამატიკულ ფორმებს, რომელთაც უადრესი მნიშვნელობა აქვთ ქართული ენის ისტორიისათვის. ამიტომ გამოცემულ ტექსტს ახლავს საკმაოდ ვრცელი მიმოხილვა მისი ენისა. აქ მოყვანილ ასტროლოგიურ ცნობებს მხარს უჭერს «ვეფხისტყაოსანი».

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1975

70103

III—

M—608 (08)—75



## წინასიტყვაობა

შოწურვილ იყო ზაფხული,  
ქუეყნით ამოსლვა მწუანისა,  
შზისა ცვალება ეტლისა,  
შეჯდომა სარატანისა

(შ. რუსთველი)

ქვემოთ მოთავსებული ასტროლოგიური თხზულება, მე-12 საუკუნისა, ცნობილია ერ ზად-ერთი ხელნაწერით, რომელიც აღწერილი აქვს თ. ჟორდანიას 65 ნომრად<sup>1</sup>. იგი წარმოადგენს კრებულს და შიგ მოთავსებულია, სხვათა შორის, მხედრული ხელით დაწერილი „თარგმანებაჲ ქებისა ქებათაჲსაჲ“, რომელიც მე 1924 წელს ლითონგრაფიულად გამოვეც სტუდენტთათვის სავარჯიშოდ ძველს მხედრულ წერაში<sup>2</sup>.

„ეტლთათჳს“ მოთავსებულია ხელნაწერის 362—383 გვერდებზე, ხოლო მას უძღვის ერთ გვერდზე (გვ. 360) სქემა ანუ „სახე აღმოსლვისა მთარისაჲ და შთასლვისაჲ ლამით“, მეორე გვერდზე კი (გვ. 361) მოთავსებულია ტაბულა ანუ ცხრილი, სადაც „ვარსკულავები“ დახასიათებულია ცამეტი ნიშნის მიხედვით. ეს ორი თხზულება ჩვენ ამ გამოცემაში გადავიტანეთ ბოლოს და წინ დავბეჭდეთ „ეტლთათჳს“.

თხზულებას სათაური არა აქვს, მაგრამ იგი დასურათებულია: ყოველ ეტლს მიუძღვის მისი სურათი, რომელთაგანაც განსაკუთრებით გამოირჩევა ლომი, რომელიც სრულიად ბუნებრივი სახით არის წარმოდგენილი და ნებიერად მიაბიჯებს. ტექნიკური მიზეზის გამო სურათები ამ გამოცემაში გადატანილია ბოლოს, და მკითხველს თვით შეუძლია წარმოდგენა იქონიოს მათი მხატვრული ღირსების შესახებ.

აღსანიშნავია აგრეთვე ქუფური ასოებით შესრულებული წარ-

<sup>1</sup> Ф. Жордания, Описание рукописей Церковного музея духовенства Грузинской епархии. 1901.

<sup>2</sup> თარგმანებაჲ ქებისა ქებათაჲსაჲ. პალეოგრაფიული რვეული, გამოქვეყნებული აკაკი შანიძის მიერ. უნივერსიტეტის ლითოგრაფია. ტფილისს 1894.





წერა, რომელიც შინაარსობლივ დიდს არაფერს გვაძლევს, მაგრამ დიდი მხატვრული გემოვნებით კი არის შესრულებული.

A—65 ხელნაწერი კრებულია. მისი გადაწერის დროის შესახებ შემდეგი იკითხება 367 გვერდზე: „წელნი ქრისტესით ვიდრე მოაქამოდე ქართველნი ვთვალავთ **ჩხი**, ხოლო ჯუმლად ყოველნი წელნი ადამისითგან დღესამომდე, ოდეს ესე დაიწერა, **ხლუბ**, ქრონიკონი იყო **ჴმ**“. ამ სამ თარიღთაგან „ადამისითგანი“ (რომელიც იგივეა, რაც „დასაბამითგანი“) და (ქართული) ქრონიკონი თანაბრად გვაძლევს 1188 წელს. მართლაც, **ხლუბ** (6792)—5604 = 1188; ხოლო **ჴმ** (408) + 780 = 1188. ამგვარად, ეს ორი თარიღი სავსებით ეთანხმება ერთიმეორეს. რადგანაც ჩვენში უფრო მიღებული იყო წელთაღრიცხვა „დასაბამითგან“ და ამასთანავე აგრეთვე ქართული ქრონიკონიც, ამიტომ ამ ორი თარიღის თანხმობა უეჭველს ხდის, რომ ხელნაწერი 1188 წელს არის გადაწერილი. რაც შეეხება „ქრისტესით“ თვალვას, რომლის შესახებ საგანგებოდ არის აღნიშნული, რომ ქართულიაო („წელნი ქრისტესით ვიდრე მოაქამდე ქართველნი ვთვალავთ **ჩხი**“ ე. ი. 1210), იგი 22 წლის განსხვავებას გვაძლევს (1210—1188 = 22), მაგრამ არა გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ამის დამწერი შეცდაო. არა, უთუოდ ქრისტესით ნაანგარიშევი თარიღიც იმავე 1188 წელს უნდა უდრიდეს, მაგრამ ამჟამად არ ჩანს, თუ რა სისტემით არის ნაანგარიშევი. მე მგონია, რომ სარწმუნოა 1188 წელი, რომელსაც „ადამისითგანი“ და ქართული ქრონიკონი გვაძლევს და ამის საფუძველზე ვასკვნით, რომ ხელნაწერი გადაწერილია თამარის მეფობაში 1188 წელს<sup>3</sup>.

ეს უნიკალური ძეგლი ნათლად ასახავს ქართული ენის მე-12 საუკუნის ორთოგრაფიულსა და გრამატიკულ მოვლენებს, აგრეთვე იმდროინდელი ლექსიკის ზოგიერთ თავისებურებას. იგი მცირე მოცულობისაა და ბევრ საკითხზე პასუხს ვერ გვაძლევს, მაგრამ რაც არის, მისი ჩვენებაც მეტად ძვირფასია. მარტო ის რადა ღირს, რომ ამ ძეგლის მიხედვით აშკარად ჩანს, რომ **აჲ**, **ოჲ** და **უჲ** იყო დიფთონგები და **ა** გამოითქმოდა!

საყურადღებოა, რომ საეტლოს ტექსტის დასაწყისი იმდროინდელი საუცხოო მხედრულით არის დაწერილი და სამწუხაროა, რომ მხედრულად მხოლოდ ოთხი სტრიქონია და მეხუთის დასაწყისი. ბუნებრივია, რომ ამ მცირე ნაწილსა და ნუსხა ხუცუროთ ნაწერ დანარჩენ ტექსტს შორის ორთოგრაფიული განსხვავება იყოს, რაზე-

<sup>3</sup> თ. ქორდანი უფრო ენდო ქრისტესით ნაჩვენებ თარიღს და დაასკვნა, რომ ხელნაწერი გადაწერილია 1210 წელსო.



დაც ქვემოთ გვექნება საუბარი. სხვათა შორის, მხედრულ ხაწილში ყოველი სიტყვის შემდეგ ორწერტილია დასმული.

ორივე ნაწერი (მხედრულიცა და ხუცურიც) ერთსა და იმავე პირს უნდა ეკუთვნოდეს<sup>4</sup>. შესაძლებელია ეტლთა სურათებიც მისი დახატული იყოს. თვითვე ეტლი თავიდანვე დანომრილია ძველი ქართული ასოებით, რომელთაც თავზე ხაზი აქვს დასმული იმის აღსანიშნავად, რომ ასოები რიცხვის მნიშვნელობით არის ნახმარი. ხოლო მერმინდელი ხელით სათაურების ბოლოს სათანადო თვეების სახელებია მიწერილი<sup>5</sup> (მერმინდელი მინაწერი აქ ფრჩხილებშია ჩასმული).

- |                     |                             |
|---------------------|-----------------------------|
| ტ ვერძი (მარტი)     | ზ სასწორი (სეკდენბერი)      |
| ყ კუროა (აპრილი)    | ჩ ღრიანკალი (ოქტომბერი)     |
| ღ ტყუბი (მაისი)     | ც მშვლდოსანი (ნოემბერი)     |
| ო კირჩხიბი (ივნისი) | კ თხის რქაა (დეკემბერი)     |
| ქ ლომი (ივლისი)     | კტ წყლის საქანელი (იანვარი) |
| ჩ ქალწული (აგვისტო) | კლ თევზი (თებერვალი)        |

ამგვარადვეა მოყვანილი ეტლთა სახელები ერთს მეათე საუკუნის ძეგლშიც<sup>6</sup>. აღსანიშნავია, რომ კენტი რიცხვის ეტლები (ვერძი, ტყუბი, ლომი და სხვა) მამლად არის მიჩნეული, წყვილი რიცხვისა კი — დედლად: კუროა(!), კირჩხიბი, ქალწული და სხვ.

როგორც აღვნიშნეთ, ხელნაწერში ჯერ მოთავსებულია „სახე აღმოსლვისა მთარისაა და შთასლვისაა ღამით“, რომელსაც მეორე გვერდზე მოსდევს ცხრილი, სადაც მოცემულია შვიდი მნათობის დახასიათება ამ რიგით: ზუჰალი, მუშთარი, მარიხი, მზე, მთიები, ოტერიდი და მთოარე. ცხადია, დახასიათება ასტროლოგიურია და სულ 13 ნიშანია დასახელებული: ა) თუ როგორია მათი სიდიდე ან სიმცირე დედამიწასთან („ქუეყანასთან“) შედარებით, ბ) რომელი ცა ეკუთვნის თვითველ მათგანს, გ) რომელი ქვეყანა, დ) რომელი დღე, ე) რომელი ღამე, ვ) რომელი ფერი, ზ) კაცის ასოთაგან რომელი, ჟ) ავია თუ კარგი, თ) რა ბუნებისაა და სხვა.

<sup>4</sup> ეს პირი უთუოდ იგივეა, რომელმაც „ქებათა ქების თარგმანების“ ტექსტი მხედრულად გადაწერა, რომელიც ამავე კრებულშია მოთავსებული ბოლოს.

<sup>5</sup> ქართული ასოების ნაცვლად გამოცემაში არაბული ციფრებია ნახმარი. ამას ვარა, აქ, ხელნაწერის აღწერისას, გამოტოვებულია ეტლთა არაბული სახელები.

<sup>6</sup> ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები. გამოსცა მზ. შაანიძემ. I. ტექსტი. 1960, გვ. 466.





„სახეს“ წინ უძღვის ჯვარი, რომლის მკლავებზეცაა მოქმნილ კუთხეებში თითო წერტილია ჩაწერილი. თვით ტექსტიც იწყება ასე:

«**აქა ერთგან შეურაჲ მზისა და მთოარისაჲ**»,

რაც დაწერილია წითლად. შემდეგ მოსდევს შავად:

«**აქა მთოარე არ ინახვის**».

შემდეგ კი წითელი და შავი მელანი ენაცვლება ერთმანეთს: კენტო რიცხვების ღამეების ტექსტი (1, 3, 5, 7 და შემდეგ) წითურად არის დაწერილი, წყვილი რიცხვების ღამეებისა კი — შავად (2, 4, 6, 8 და ასე შემდგომ).


მნათობთა ცხრილში წარმოდგენილია მზე, მთვარე და ხუთი ცთომილი (პლანეტა): ზუჰალი, მუშთარი, მარხი, მთიები და ოტერიდი. შვიდივე მნათობი ვარსკვლავებად არის მოხსენებული, რასაც თავშივე ვტყობილობთ ასეთი წარწერიდან: „სიდიდე და სიმცირე ვარსკულავთაჲ“. ისინი წარმოდგენილია ასეთი თანამიმდევრობით: ზუჰალი, მუშთარი, მარხი, მზე, მთიები, ოტერიდი, მთოარე.

„ვეფხის ტყაოსნის“ ავტორი კარგად იცნობს მის დროინდელ ასტროლოგიურ სისტემას და სათანადო ტერმინოლოგიას, რომელიც ჩვენში იყო გავრცელებული. ფრიდონისას მიმავალი ავთანდილი მიმართავს თვითეულ მნათობს ასეთი რიგით: მზე (957), ზუჰალი (958), მუშთარი (959), მარხი (960), ასპიროზ (961), ოტარიდი (962), მთოვარე (963). განსხვავება ამ რიგსა და აქ მოთავსებულის მნათობთა ცხრილის რიგს შორის ის არის, რომ მზე, როგორც ყველაზე დიდი მნათობი, პოემაში წინ არის წამოწეული, ხოლო მთიების ადგილი ასპიროზსა აქვს დაკავებული. სხვა მხრივ რიგი და სახელები ერთი და იგივეა აქაც და პოემაშიც.

რაც შეეხება ასპიროზისა და მთიების მონაცვლეობას, ეს გასაგებია, რადგანაც ასპიროზი, რომელი სახელიც შერძნულია წარმოშობით, იგივე „ვარსკვლავია“, რაც მთიები, რომელსაც ამჟამად უფრო ვენერის სახელით ვიცნობთ; ეს სახელი კი ლათინურია. ეს ცთომილი „ვარსკვლავი“ (მთიები, ასპიროზ, აფროდიტე) „ყველაზე ბრწყინვალე მნათობია ცთომილებს შორის. იმის მიხედვით, თუ რამდგომარეობაშია ეს ცთომილი ორბიტზე დედამიწისა და მზის მიმართ, იგი ან დასავლეთით კაშკაშებს საღამოს, მზის ჩასვლის შემდეგ, ან აღმოსავლეთით, გათენების წინ, მზის ამოსვლამდე. ამიტომ იგი ორ სხვადასხვა ვარსკვლავად მიაჩნდათ ძველად და სახელიც ორი







მართალია, „ვეფხისტყაოსანში“ ცხრა ცაც არის ნახსენები:

„ლეცრუო, ღმერთმან მიწა მქნას, ნუმცა ცხრითავე ვზეცითა“ (413)

მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ ასტროლოგიურ ლიტერატურაში ცხრა ცის შესახებაც მოიპოვება ცნობები. შორს რომ არ წავიდეთ, სულხან-საბა ორბელიანი დავიმოწმოთ, რომელსაც თავის ლექსიკონში „ცა“ სიტყვის გამო დახატული აქვს დედამიწის გარშემო შემოვლებული ათი კონცენტრული სფერო, სადაც მნათობები ბერძნულითა და არაბული სახელებით არის მოყვანილი. მათ უსწრებს ორ კონცენტრული სფერო: ჰაერისა (ანუ აირისა) და ეთერისა, რომლებიც სათვალავში არ არის ჩაგდებული. სფეროთა სახელები შემდეგია: [აირი, ეთერი], 1) მთოვარე, ყამარ, 2) ერმი, ოტარიდი, 3) აფროდიტი, ასპიროზ<sup>9</sup>, 4) მზე, შამს, 5) არია, მარხი, 6) დია, მუშთარი, 7) კრონოს, ზუალი, 8) ვარსკულავთ ცა, 9) მეცხრე სფერო, 10) სამყარო. ხოლო სამყაროს ზემოთ მოთავსებულია სასუფეველი ცათა, რომელიც შემოუფარგლავია და უსასრულო.

საინტერესოა, შევადაროთ აქ გამოცემულ ძეგლში მოყვანილი ეტლების სახელები „ვისრამიანიდან“ ცნობილი ეტლებისას.

მოაბადმა რომ ზარდის რჩევით დიდძალი თვალ-მარგალიტი, ოქრო და ლარი გაუგზავნა შაჰროს და ცბიერი წიგნიც მისწერა, იგი მონიბლა ამით, ციხის კარი გაუღო და თავისი ასული ვისი მოაბადს ხელთ მისცა, ამას ვითომც აი რა შედეგი მოჰყვა:

„ეტლნი რკინისა კედელთა ჰგვანდეს და მასკულავნი — მათგან აბეზარ-ქმნილთა: ვერძნი და მოზუერნი, დაღრეჯით დამალულნი, თრთოდეს ლომის შიშითა და თუისი ადგილი დაეგდო; თუ სთქუა, ლომი უსულო დგას და მეტყუებარი ორთა მოყუარეთაებრ მწოლთა დაჭედით უძრავ ქმნილ იყვნეს; კირხიხიბი გამწყრალი, კუდ-ამოზზეკილი, ლომისა ჭანგთა ქუეშე იყო; ქალწული დიაცისაებრ დგა, კელთა ტევანნი დაეკირნეს; სასწორი, დამლილი და დახლართული, უკმარ ქმნილ იყო; დრიანკალი ერთგან მოღრეკილიყო, ვითა გუელი გაცივებული; მშუილდოსანსა, ვითა კერპსა, მშუილდითა ომი არ შეეძლო; თხა ისრისაგან უშიშრად ქუე დაწოლილიყო; წყლის საქანელი — ჭასა შიგან ჩაჭრილი და მისი მზიდავი — ბედითად მომცდარი; თევზი, ბადისაგან დაბმული და ვითა კმელთა ზედა გაჭრილი, დარჩომისაგან უიმედო ქმნილ იყო. ასეთითა ავითა ეტლითა და უბედურითა ნახა შაჰინშა თავისი ცოლი. ღმერთმან სხუასა ნუვის

<sup>9</sup> როგორც ჩანს, ასპიროზი სულხანს არაბულ სახელად მიაჩნდა.



ზედა მოილოს ესეთი ეტლი!“<sup>10</sup>. აქ ჩვენს ყურადღებას იპყრობს, რომ კუროს ნაცვლად მოზუერი არის დასახელებული და ტყუბის ნაცვლად — მეტყუბარი, ხოლო თხის რქის ნაცვლად — თხა. სხვა მხრივ იგივე ტერმინებია, რაც აქ გამოცემულ საეტლოში.

ძეგლი XII საუკუნის ხელნაწერ კრებულშია შემონახული და იმავე საუკუნეში უნდა იყოს თარგმნილი არაბულიდან ან სპარსულიდან და რამდენადმე გადმოკეთებული ქართველი მკითხველისათვის. ეს იქედან ჩანს, რომ აქ მწიგნობართ უხუცესებზე, კათალიკოსებზე და ეპისკოპოსებზედაც არის საუბარი, აგრეთვე ეკლესიებზე და მონასტრებზედაც და მღვდლები საპატიო პირებთან ერთად არის დასახელებული, ხოლო მაჰმადიანთა სასულიერო პირებზე არსად არ არის ერთი სიტყვა. მშვილდოსნის ეტლზე ნათქვამია. რომ „ესე ბურჯი კათალიკოზთა და ეპისკოპოსთა და ბჭეთაა არსო“ (19, 12) და იქვეა ნათქვამი, რომ „მონაზონთა საყოფნი მთანი და ქუაბნი მისნი არიანო“ (9, 15) და „ადგილთაგან ეკლესიაა და მონასტერი და ბჭეთა საჯდომი“ მისიაო (9, 17). უკანასკნელი ეტლის შესახებ ნათქვამია, რომ „ესე ბურჯი მთავართა, მღვდელთა და საპატივთა კაცთა ეტლი არსო“ (12, 12) და „ადგილთაგან მონასტერნი“ მისნიაო (12, 17). საეტლო არც კვევისბრებს ივიწყებს: „კელისუფალთაგან მგებელნი და მუშანი და კვევის ბერნი“ მისნიაო (10, 24).

მართალია, ნახსენებია სარკინოზები (მაჰმადიანები) და მათი სალოცავებიც: „ესე ეტლი (კირჩხიბისა) სარკინოზთაა არს“-ო (4, 48), და რომ „სარკინოზთა სალოცავნი“ სასწორის (ეტლის) ადგილია, მაგრამ ამასთანავე ერთად ისიც არის აღნიშნული, რომ „ჭურიათა სალოცავნი“ წყლის საქანელის ადგილებიაო (11, 15). თუ კირჩხიბი სარკინოზთა ბურჯია, სამაგიეროდ ქრისტიანებისაა ლომის ბურჯი (5, 8), ხოლო თურქებისა — ღრიანკალი (8, 9). სხვა ერების ბურჯი (მაგალითად, ბერძნებისა) არ არის დასახელებული.

A—65-ის საეტლოს ილუსტრაციებს გამოკვლევა მიუძღვნა გაიანე ალიბეგაშვილმა, რომელმაც იგი შეადარა ყაზვინის ამგვარისავე თხზულების სურათებს (საბჭოთა კავშირის მეცნ. აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის E—7 ხელნაწერის მიხედვით) და დაასკვნა, რომ „A—65 ხელნაწერს, რომელსაც ზოგიერთი, უმეტესად გარეგნული. მსგავსება აქვს სპარსულ მინიატურებთან (თუმცა ამ უკანასკნელთა სტატიკურობას ძლიერ დაშორებულია), ზოგი რამ საერთო აქვს, ნა-

<sup>10</sup> ვისრამიანი, ა. გვახარიასი და მ. თოდუას გამოცემა, 1962, გვ. 59—60.





ხატის თავისუფლების შეგრძნების მხრივ, რომანულ ხელოვნებასთანო<sup>11</sup>.

ძველი კარგა ხანია გადმოწერილი მქონდა, მაგრამ მისი გამოცემა დამიგვიანდა.

ზემოთ ვთქვით, რომ ძველი ცნობილია ერთად-ერთი A—65 ხელნაწერის მიხედვითო. მე ვფიქრობდი, არ შეიძლება ასეთი ძველი არ გადაეწერათ და არ გაემრავლებინათ. ამიტომ შესაძლებლად მიმაჩნდა, რომ სადმე მოიპოვებოდეს მისგან გადანაწერი. ყოველ შემთხვევისათვის საჭირო იყო ხელნაწერთა კოლექციების გადათვალიერება. ამ მიზნით ვსთხოვე დოც. კ. დანელიას, დაეჩხრიკა ჩვენს კოლექციებში დაცული სხვადასხვა სახის საეტილოები და სამთვარიოები, რომლებიც საკმაოდ მოიპოვება ხელნაწერთა ინსტიტუტში. მან ხალისით მოჰკიდა ხელი ამას (რისთვისაც მაღლობას მოვახსენებ), გადასინჯა ბევრი მათგანი, მაგრამ არც ერთი არ აღმოჩნდა მთლად იმ ძველის მსგავსი, რომელიც აქ არის გამოცემული. ოღონდ ეს კია, რომ A—1580 ხელნაწერის 90v—96r-ზე მოთავსებული ტექსტი ემთხვევა მას ეტლთა ბოლო ნაწილებში<sup>12</sup>.

აღვნიშნოთ ძველი ტექსტი, აქ გამოცემული, A—65 ხელნაწერისა (მე-12 საუკუნისა), A ასოთი და A—1580 ხელნაწერისა, რომელიც 1814 წელს არის გადაწერილი მხედრულად, B ასოთი და შევუდაროთ ერთმანეთს. განსხვავება მათ შორის დიდია: B ხელნაწერში საეტლოს იგივე სათაურები აქვს, რაც A-სას, მაგრამ აქა-იქ შერყვნილია, მაგ.,

7) სასწორო რომელსა არაბნი ს ა წ ო რ ს (!) უწოდებენ<sup>13</sup>.

სეკდენბერი.

11) წყლის საქანელი, რომელსა არაბნი ლ ა ლ ა ვ ს უწოდებენ. იანვარი.


ამას გარდა, მერვე ეტლის ტექსტი (ღრიანკალისა) აკლია სრულებით.

მთავარი განსხვავება A-სა და B-ს შორის ის არის, რომ B-ს ყველგან აკლია ეტლის შესავალი, სადაც აღნიშნულია, თუ როგორია იგი, რა მნათობის სახლია და სხვა, რა დღე ეკუთვნის, ხელისუფალთაგან ვინ არის მისი, როდის ამოხდება და ჩახდება მზე და სხვა. აქ ეტლთა სათაურებს უშუალოდ მოსდევს სიტყვები: „ვინცა ამას

<sup>11</sup> გაიანე ალიბეგაშვილი, საშუალო საუკუნეების ორი ასტრონომიული ტრაქტატის ილუსტრაციები: საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XII, (1951), № 6, გვ. 369—376.

<sup>12</sup> იმავე ხელნაწერში მოიპოვება (56r—60r-ზე) სხვა საეტლოც, მაგრამ ის სულ სხვა შინაარსისა ყოფილა, ვიდრე A—65-ის ტექსტი.

<sup>13</sup> უთუოდ გადაწერმა მიზან-ი ქართულ სიტყვად გაიგო და „გასწორა“.



ეტლსა ზედან იშვეს“ და შემდგომი. ამ ნაწილშიც ზოგი რამ გამოტოვებულია ან შეცვლილი, ძველი სიტყვები და ფორმები გაახლებულია. მაგალითები:

A

B

ნიშანი იყოს  
შაპვისა მოყუარე  
ოტერიდი  
მლალობელი  
მეცნიერობისა  
მოშაპირე  
მისსა უკუანა  
ითქმოდის  
შეემთხვოს  
თავქედისაგან  
დარაჯა

ნიშანი ჰქონდეს  
შავისა მოყვარე  
ოტარიდი  
მლალობელი  
მეცნიერებისა  
მოშაირე  
მის უკან  
ითქმოდეს  
შეემთხუეს  
თავის თავისაგან  
დარეჯა (უმეტესად ეს ფორმა იხმარება B-ში: ათ დარეჯამდის და მისთ.)

შესახედავად საშინელი  
თუალ-ჟიჟუავი  
გონება-მახვლი  
წუერ-მრგული  
კაცთა შუა შფრთის მქუსველი  
ძალისა სახიობათა მცემელი  
ყოველივე მოიწყვდოს  
ორშაბათი დღე არ აშუნდეს

შესახედავად კარგი  
თუალ-ჟუჟუნა  
გონება-ვრცელი  
წვერ-სუფთა  
კაცთა შუა შფრთის ამშლელი  
ძალისა უცხოდ მცემელი  
ყოველივე მოიკუეთოს  
ორშაბათი დღე მას არ აშუნდეს

თუალ-მაჩხი  
ნარდისა და ჭადრაკისა მომღერალი  
გალატოზობა იცოდის კარგი, ანუ მეტყავე იყოს და პარასკევი არ აშუნდეს

თუალ-მარჩხი  
ნარდისა და ჭადრაკის მცოდნე კალატოზობა ანუ მეპრატაკობა გინა დაბლობა იცოდეს და პარასკევი დღე არ დაშუნდეს

იგი უფრო აშუნია  
ვაჭრობისაგან როჭიკიანი

იგი უფრო ჰსჭირდეს  
ვაჭრობისაგან სარგებელი მიხუდეს

იშვეს

იშვას  
და სხვა.



რომ უფრო ნათელი იყოს, თუ რას წარმოადგენს B, მოვიყვანო იქედან მეოთხე ეტლს მთლად:

„კირჩხიბი, რომელსა არაბნი სარატანს უწოდებენ. ივნისი.

ვინცა ამას ზედან იშვას, კაცი არცა გრძელი და არცა მოკლე, ცხური-მოკლე და მრუდი, თმა-წვრილი, წვივ-გრძელი, ცოტათ მსუბუქი, რომელ ერთსა სიტყვასა ზედან არ დადგების და არცა ერთსა საქმეს ზედან, მარა კაცი მხიარული, ლალი, სიტყვა-წყლიანი და უხვი. სიცოცხლესა შინა ოთხი ფათერაკი შეემთხვეს: პირველ, ავისა კაცისაგან ვნება მიხუდეს; მეორედ, მკბენარმან რამემემ(!) უკბინოს; მესამედ, წყლისაგან ეენოს; და მეოთხედ, თავის თავისაგან ვნება ეცეს.

ესე ბურჯი სამ-ნაწილი არს: პირველი მთიებისა არს ათ დარეჯამდის, მეორე ოც დარეჯამდის ოტარიდისა არს, მესამე ოცდაათ დარეჯამდის მთოვარისა.

ვინცა მთიებისა ნაწილსა ზედან იშვას, კაცი კეკლუცი, კაცთა მოყვარე, ტანისამოსის და სიწმინდის მოყვარე.

თუ ოტარიდისა ნაწილსა ზედან იშვეს, არცა მოკლე ტანად და არცა გრძელი, თით-წვრილი, მწერალი, და ანგარიში დიდად იცოდეს.

თუ მთოვარისა ნაწილსა ზედან იშვეს, კაცი კეკლუცი და წარბშავი, პირ-მრგვალი, წამსა მართალსა იტყოდეს და წამსა ტყუილსა და სიტყვისა მრავალ-ფერად ქცევა იცოდეს.

ვინცა ა, იდ და ივ დარაჯასა იშვას, ბედნიერი იყოს, მაგრამ ოთხშაბათი დღე არა დაშვენდეს. ეს ეტლი სარკინოზთა არს“.

ასტროლოგია მეცნიერება არ არის, მაგრამ იგი მეცნიერებად მიაჩნდათ ძველად და საშუალ საუკუნეებშიც. ვარსკვლავთმრიცხველთაგან მიწოდებული ცნობები ბევრს სჯეროდა. საშუალ საუკუნეებში ასტროლოგია ევროპის ზოგ უნივერსიტეტში სასწავლო საგანი იყო. მაგრამ ნ. კოპერნიკის მოძღვრებამ პელიოცენტრიზმის შესახებ, ი. ნიუტონის მიგნებულმა კანონმა მსოფლიოს მიზიდულობის შესახებ და ასტრონომიის შემდგომმა განვითარებამ თანდათან გააფართოვეს ადამიანის გონება, ძირ-ფესვიანად შეარყიეს ასტროლოგიური შეხედულებანი და გზა გაუხსნეს ნამდვილ მეცნიერებას, რომელმაც თანდათან ფართოდ გაიკაფა გზა და ერთად-ერთ ჭეშმარიტ მეცნიერებად იქცა ციურ სხეულთა შესახებ. მართალია, ზოგს ძვირად დაუჯდა იმის მტკიცება, რომ დედამიწა არ არის მსოფლიოს ცენტრი, არამედ ერთ პლანეტთაგანი მზის სისტემაში (მოვიგონოთ, მაგ., რომ ჯორდანო ბრუნო ცეცხლში დაწვეს ინკვიზიტორებმა 1600 წელს რომში), მაგრამ ასტრონომიამ საბოლოოდ გაიმარჯვა.



ასტროლოგია, სხვა ქვეყნების მსგავსად, ჩვენშიც იყო გავრცელებული, რაც „ვეფხისტყაოსნიდანაც“ ჩანს, ამასვე ამტკიცებს ამ გამოცემული ტექსტიც. მართალია, არ ჩანს, რომ იგი ორიგინალური იყოს, მაგრამ ეჭვი არ არის, რომ იგი ქართველი მკითხველისთვის არის გადმოკეთებული და იმდროინდელ საზოგადოებრივ წყობილებასთან შეწყობილ-შეხამებული.

როგორც ჩანს, ქართველთა სამღვდლოებას შესაწყნარებლად მიაჩნდა ასტროლოგიური ცნობები, რასაც ის ადასტურებს, რომ აქ დაბეჭდილი ტრაქტატი მოთავსებულია ისეთ კრებულში, სადაც სხვადასხვა სახის სასულიერო თხზულებაა შესული, როგორიცაა „წინამძღუარი“ ანასტასი სინელისა, თომა იერუსალიმელი პატრიარქის „წმ. სარწმუნოებისათვის“, ნიკიტა სტითატის „სიტყუანი განსაქიქებელნი მგმობრისა მის წვალებისა სომეხთაჲსა“, სხვა თხზულება, 30 თავისაგან შემდგარი, სადაც განხილულია, თუ რა განსხვავებაა სომეხთა სარწმუნოებასა და მართლმადიდებლობას შორის და სხვა.

საკმაოდ სარწმუნო ცნობებს შეიცავს აქ მხოლოდ სამთვარიო („სახე აღმოსლვისა მთოვარისაჲ და შთასლვისაჲ ღამით“), რაც დედანში ცხრილის სახით არის წარმოდგენილი დისკოში, სხვა კი მხოლოდ მცდარ შეხედულებათა კრებულია, სადაც კაცის ბედი თითქო იმაზე იყოს დამოკიდებული, რა ეტლში იჯდა მაშინ მზე, როდესაც დაიბადა იგი.

მართალია, მრავალ ქვეყანაში (ინგლისში, საფრანგეთში, იტალიაში, დასავლ. გერმანიაში, ა. შ. შ.-ში და სხვაგან) ახლაც საკმაოდ გავრცელებული ყოფილა ვარსკვლავთმრიცხველობა და ბევრი „მეცნიერი“ ოსტატურად იყენებს ყრუ ხალხის უფიცობას და ნდობას თავის სასარგებლოდ<sup>14</sup>, მაგრამ ჩვენში ამას, საბედნიეროდ, ადგილი არა აქვს.

ჩვენთვის აქ დაბეჭდილი ძეგლი არის ქართული ენისა და მხატვრობის ძეგლი, რომელიც თავისი შინაარსით საეროა და გარკვეულ ცნობებს გვაწვდის თამარის დროინდელი სალიტერატურო ენის შესახებ. აქ ბევრგან არის საუბარი ადამიანის ტანის ასოთა სახელების შესახებ, ფრინველებისა, ცხოველებისა, ფერებისა და მეტალთა სახელების შესახებ. იგი უთუოდ ნათელს ჰფენს „ვეფხისტყაოსნისა“ და სხვა იმდროინდელი ძეგლის ტექსტის დადგენისა და გამოცემის ზოგ მხარეს.

<sup>14</sup> ამის შესახებ ნახეთ Г. А. Гурев. История одного заблуждения. Астрология перед судом науки. Редакция, предисловие и послесловие проф. М. И. Шахновича. Изд. «Наука». Ленинград, 1970.

## ე ტ ლ თ ა თ ვ ს

### 1. რ ე რ ძ ი, რ ო მ ე ლ ს ა [ ა რ ა ბ უ ლ ა დ ] ჰ რ ქ ვ ა ნ შ ა მ ა ლ ი

სახელითა ღმრთისაჲთა.

რეერძისა ბურჯი ცეცხლისაჲ არს და ღღისაჲ არს და მჭურვალი და ჳმელი არს. შამალი არს და აღმოსავლეთისაჲ არს და შარხისა სახლი არს და შუისა შარაფი

5 არს, გრილი არს [და საპა]ტიოდ ნებითა საჯდომი არს, ჳელმწიფეთა და მოლაშქრეთა ბურჯი არს და ოცდაათი დარა[ჯაჲ] არს და თუითო დარაჯაჲ სამოცი დაყიყაჲ არს და რაჲ შუე პირველსა დარაჯასა მოვიდეს, დღე და ღამ<sup>1</sup>...

10 და სამშაბათი დღე მისი არს.

ყელისუფალთაგან არს მჭედელი და მექონდრაქე (რომლისა თარგმანი არს «კასაბი») და მჭედელი რვა-ლისაჲ და ჰაჯამი. შა ხეთაგან რაჲცა მაღალია, და რკინაჲ და ტყუვაჲ მისი არს. შა ოდეს შუე ამას ბურჯსა

15 შიგან იყოს, [ადრე] აღმოჰქედების და გვანად [ჩ]აჰქედების. შა ფერთაგან თეთრი წითლად გამოსჰჯრდეს, მისი არს.

რინცა ამას ეტლსა ზედა იშვას, კაცი იყოს ყოვლისა საქმისა წინამხედველი, ჳორც-შუენიერი და ტან-  
20 წყლიანი, პირ-მხიარული და თუალ-კეკლუცი და პირ-ჭროფლიანი, ანუ პირსა ნიშანი იყოს ყუავილისაჲ<sup>2</sup>, და თმა-გრუზი და ბელატი, და ყურ-დიდი და თუალ-ქიეჳაჲ ანუ თუალ-მაჩხი; და წვენი წურილნი, და მრავლის მეტყუელი. შა წვესა ანუ მწარსა ნიშანი

<sup>1</sup> შემდეგ მოხეულია და აკლია ერთი ან ორი სტრიქონის ტექსტი.

<sup>2</sup> ჩამატებულია.





25 იყოს და კაცი უხვ იყოს და შაჰვისა და ტანის სამოსისა  
 კეკლუცისა მოყუარე იყოს და მხიარული და ცოტადთა  
 სიტყვთა ადრე გამწყრალი და ცოტადთვე სიტყვთა  
 ადრე დამშვდებული. თა მტერთა ზედა გულის ნებასა  
 ეწიფოს.

30 ესე ჴერძისა ბურჯი სამ-ნაწილი არს: პირველი  
 ნაწილი შარხისაა არს, მეორე შუხისაა არს, მესამე  
 შთიებისაა არს. ჴინცა ათ დარაჯამდის იშვას, შარხ-  
 ხისაა არს; ვინცა ოც დარაჯამდის იშვას, შუხისაა არს,  
 და ვინცა ოცდაათ დარაჯამდის იშვას, შთიებისაა  
 35 არს. ოჲ [შარხისა ნაწილსა ზედა შობილ იყოს] მწი-  
 თური და

K 159321

ს კაცი იყოს [ ] ზაროანი და  
 ამპარტავანი. თა თუ მთიებისა ნაწილსა ზედა შო-  
 ბილ იყოს, შაჰვის მოყუარე, დედათ მოყუარე და მგო-  
 40 სანთ მოყუარე იყოს ანუ თვთ იცოდის მგოსნობაა.

თა მისსა სიცოცხლესა შიგან სამი ფათერაკი შე-  
 ემთხვოს: პირველი წყლისაგან, მეორე და[კოდლო-  
 ბისაგან, მესამე] სნეულებისაგან. თა ორშაბათი არ  
 აშუნდეს. ქადცა ჭირი სჭირდეს, უ[ ]ნის თავსა იყოს  
 45 [ლ]ირსი და ვინცა მეცხრამეტესა და-  
 რაჯასა ზედა იშვას, კაცი ბედიანი იყოს.

2. ხუროჲ, რომელსა არაბულად  
 ჰრქვან ოავრი

[354] ხუროჲსა ბურჯი შთიებისაა არს სახლი და  
 შთოარისა შარაფი. თა მიწისაა არს და ღამისაა არს  
 და დედალი არს და გრილი და წმელი არს და სევდისაა  
 არს. თა რაჲ შუე ხუთმეტ დარაჯამდის მივიდეს, შუა  
 5 გაზაფხული არს და ადრე აღმოჰქდების და გვანად ჩაჰ-  
 ქდების. თა ნახევარ-წმად და შვილნი მციირედ და ბუ-  
 ნებად ჰამოჲ. თა ესე ბურჯი დედათა მთავა[რ]თაჲ არს  
 და ქალწულთაჲ. ღაცისა ასოთაგან ყელი მისი არს და  
 წარწაჩოჲ. თა ქალაქთაგან — სამიანი და საქურდეთი  
 10 და ლექსანდრიჲა და სირე, მთანი ღავკასიანი და ლი-  
 ლიკიჲა და ღარსონი და ადგილთაგან ვენაქნი და წალ-







კოტნი და ტყენი და ველნი, რომელ მთასა ახლვიდენ,  
 და მიწანი და თესულნი. ყელისუფალთაგან; მკერველი,  
 ხარაზი, და სულიერთაგან რააცა ჭლიკიანი არს, და სა-  
 15 მოსელთაგან ბისონი და ძოწეული და ფერთაგან თეთ-  
 რი, რომელ ლურჯად გამოსჭვრდეს. ოღეთაგან პარას-  
 კევ[ი მი]სი არს, ხეთაგან — რომელიცა მაღალი არს.

ჩინცა ამას ეტლსა ზედა იშვას, კაცი ტან-მაღალი  
 იყოს და არ ღია გრძელი, პირ-მწყაზარი და თუალ-შა-  
 20 ვი, შუბლი დიდი იყოს და ფართო, წარბთა რომელ  
 თმაჲ აკლდეს, და პირსა ზედა ნიშანი იყოს, ანუ თავსა  
 ანუ მჯარსა, ჯმა-მსხვლი იყოს, დედათა მოყუარე და  
 კეკლუცთა მოყუარე, თავისა პატივისა მოყუარე და  
 არვისი შემაწუხებელი. თა ზოგი ტანად მოკლეცა იქმ-  
 25 ნების და ძვრის მოწსენე არ იყოს. თა რააცა უთხრას,  
 დამჯერე იყოს. თავისა მეყვისნი უყუარდენ და მათთვის  
 კარგისა მოქმედი იყოს. თა ვისთვისცა კარგი იყოს და  
 მან ნაცვალი არ მიაგოს.


ესე კუროხსა ბურჯი სამ-ნაწილი არს: ათ დარა-  
 30 ჯამდის ოტერიდისაჲ არს, ოც დარაჯამდის შთოარი-  
 საჲ არს, ოცდა[ათ დარაჯ]ამდის ხუჭალი[საჲ] არს.

ჩინცა ოტერიდისა ნაწილსა ზედა იშვას, ღრმაჲ  
 კაცი იყოს და [ ] ანუ მხატვარი და ყოველსავე  
 ზედა ქელ-მარჯუე იყოს. თა თუ შთოარ[ისა ნაწ]ილსა  
 35 ზედა იშვას, პირ-მრგუალი, კეკლუცი და მლაღობელი  
 იყო[ს და მსი]არული. თა თუ ხოჭალისა ნაწილსა ზე-  
 და იშვას, კაცი მძიმე ი[ყოს და] ზარმაცი და საქონე-  
 ლისა შემნახავი. თა ფათერაკი მისი ცეცხლისაგან და  
 სნებისაგან იყოს. ჩინცა მესამესა დარაჯასა ანუ მე-  
 40 თოთხმეტესა ანუ მეთექუსმეტესა ანუ ოცდამეშვდესა<sup>3</sup>  
 იშვას, ბედიანი იყოს და სამშაბათი დღე არ აშუნდეს.

3. **ეყუბი, რომელსა არაბულად  
 ჰრქვან ჯაფზა**

ეყუბისა ბურჯი ოტერიდისა სახლი არის, ჩეშაპი-  
 სა შარაფი, შუშთარისა ვაბალი. თა ჰაერისაჲ არს და

<sup>1</sup> ეს «და» ზედმეტია, ან მის წინ გამოტოვებულია რამე.  
<sup>2</sup> გამორჩენია ასოები.  
<sup>3</sup> მეოცდამეშვდესა.



დღისაჲ არს, და მამალი, და მკურვალი და ნეფლი. <sup>5</sup> ~~და~~ დასაფლეთისაჲ არს. [და კაცისა ნიეთთაგან] სისხლი მი-  
სი არს. ~~ორი~~ ბუნებაჲ არს, ამისთჳს რომელ შუე რა-  
ქამს ხუთმეტ დარაჯამდის მოვიდეს, ნახევარი პირვე-  
ლისაჲ გაზაფხულისა ბუნებაჲ არს და ნახევარი შემდ-  
გომი მისი ზაფხულისა ბუნებაჲ არს.

<sup>10</sup> ~~თა~~ ამას ბურჯსა შუე ადრე [აღ]მოჰქდების და  
გვანად შთაჰქდების.

ყმა-მაღალი არს და უშვილოჲ არს. ~~თა~~ ესე ბურჯი  
მწერალთა და მხატვართაჲ არს და ნიავისა ჰამოხსაჲ  
არს; კაცისა ასოთაგან მჯარი და მკლავი და თითნი;  
ქუეყანათაგან <sup>15</sup> ~~ლა~~ლამიტი და ~~ლ~~ურგანი და ~~ქ~~უარაზმი და

ყაზვინი, ყომი და ~~ქ~~უყანი და სომხითი და ~~გ~~ვჰპტე; და  
ადგილთაგან [მ]თანნი თესულნი და სანადირონი, ადგი-  
ლი მწერალთაჲ და ყრმათა მ[ასწ]ავლელთაჲ და ადგი-  
ლი წიგნისაჲ და მფრინველნი შინაურნი, [რომელნი]-  
ცა კაცისა ჯელსა ქუეშე არიან, მისნი არიან. ~~თა~~ რაჲცა

<sup>20</sup> ხეთაგან მაღალია, [მისი] არს. ~~თა~~ დღეთაგან ოთხშა-  
ბათი მისი არს. ~~თა~~ კაცი მუჰანდები, რომლისა თარგ-  
მანი «კაცი წინაჲსწარ<sup>1</sup> მცნობელი<sup>2</sup> ყოველისა საქმი-  
საჲ», ესე მისი არს.

წინცა ამას ეტლსა ზედა იშვას, კაცი ტან-წყლია-  
<sup>25</sup> ნი იყოს და პირ-კეკლუცი, წუერ-შუენიერი, ბეჭნი და  
მკერდი ბრტყელნი იყუნენ, წვზნი [ჰნნ] გრძელნი და  
კაცი სიტყუს მეტყუელი და მხიარული და უხვ. ~~თა~~  
მეცნიერობისა და შაჰვისა მოყუარე. ~~თა~~ წიგნის მკი-  
თხველი, ზოგი მწერალი და ზოგი მოშაჰირე. ~~თა~~ თუ

<sup>30</sup> რადმე ამისი სწავლაჲ<sup>3</sup> არ შეეძლოს ანუ არ ისწავ-  
ლოს, ამისნი მოქმედნი უყუარდენ. ~~თა~~ სიტყუსა საი-  
დუმლოჲსა შემნახავი. ~~თა~~ მჯარსა ზედა ნიშანი იყოს.  
~~თა~~ ერთსა ასოსა ზედა აუგი იყოს. ~~თა~~ დიდთა თანა დი-  
დი იყოს და მცირეთა თანა მცირე იყოს. ~~თა~~ ფათერაკი


<sup>35</sup> მისი წყლისაგან არს და ჰავისა კაცისაგან. ~~თა~~ ბოლოჲ  
საქმისა მისისაჲ ყოველი კეთილად არს. ~~თა~~ პარასკევი  
არ აშუნია.

<sup>1</sup> წ-წრ.

<sup>2</sup> მცნობილი.

<sup>3</sup> აქ კიდევ «ამის» სწერია, რომელიც ზედმეტი ჩანს.





ესე ბურჯი სამ-ნაწილი არს: პირველი ნაწილი ათ  
 დარაჯამდის შუშთარისაჲ არს, მეორე ოც დარაჯამ-  
 40 დის შარხისაჲ არს, მესამე ოცდაათ დარაჯამდის  
 შხისაჲ არს. წინცა შუშთარისა ნაწილსა ზედა შობილ  
 იყოს, სჯულისა მეცნიერობაჲ იცოდის და უყუარდეს  
 და კაცი სახე-კეკლუცი იყოს, სიტყუა-ტკბილი, წყნა-  
 რი და ცნობილი, და მის საუკუნოხსა<sup>1</sup> და სასულიე-  
 45 როხსა მწურთელი და მასწავლელი კაცთაჲ. შა თუ  
 შარხისა ნაწილსა ზედა შობილ იყოს, მომწითურე  
 იყოს, ორ-ენაჲ იყოს და ფიცხელი და ძნელი, ბრძო-  
 ლის მოყუარე. შუ შხისა ნაწილსა ზედა შობილ იყოს,  
 ზაროანი და ამპარტავანი<sup>2</sup> იყოს და ასო-მსხვილი და  
 50 სიტყუა-შუენიერი იყოს. შა მისსა უკუნა აუგი დია  
 ითქუმოდის. შა ვინცა მეთერთმეტესა დარაჯასა ზე-  
 და შობილ იყოს, ბედიანი იყოს.


4. **ხ ი რ ჩ ხ ი ბ ი**, რ ო მ ე ლ ს ა ა რ ა ბ უ ლ ა დ  
 ჰ რ ქ ჯ ა ნ ს ა რ ა ტ ა ნ

ხირჩხიბისა ბურჯი შთოარისა სახლი არს და  
 შუშთარისა შარაფი და შარხისა ჰუბუტი და ზუჰა-  
 ლისა ვაბალი. წყლისაჲ არს და დამისაჲ არს. შა დედა-  
 ლი არს და ბუნებად გრილი და ნელლი არს. შა კაცისა  
 5 ნივთთაგან ბალღამი მისია. [357] ჩრდილოხსაჲ არს.  
 და რაჲ შხე პირველსა დაყიყასა ზედა მოვიდეს, მაშინ  
 დღე ყოველთა დღეთა უგრძე არს და დამე ყოველთა  
 დამეთა უმოკლე არს. და ზაფხულისა პირველი არს.  
 შა ესე ბურჯი ჰაერთა<sup>3</sup> წურილთაჲ არს და ამას ბურჯ-  
 10 სა შიგან რაჲ იყოს შხე, გჯანად ამოჰქდების და აღრე  
 ჩაჰქდების. შა შუა-ჯმაჲ არს და შვილ-მრავალი. შა  
 ესე ბურჯი სოფლისა ეტლი არს. ხაცისა ასოთაგან  
 მკერდი და ძუძუნი და ფირტუ და წელნი მისნი არიან.  
 ქალაქთაგან ღრაცისა ქალაქი და შცირე სომხითი და  
 15 ქვილისი და ღარეთი საბერძნეთი და ადგილთაგან

<sup>1</sup> სკნესა.

<sup>2</sup> ზამპარტავანი. ალბათ «ზაროანი» უნდოდა კიდევ დაე-  
 წერა.

<sup>3</sup> ჰერთა.



ზღვს პირნი და მდინარეთა პირნი, წყალთაგან წყა-  
 როას თუალნი და წყალნი იგი, რომელ მიწასა შიგან  
 გათხრით დიან. **ბ**ა ხეთაგან — რაჲცა მოკლენი არიან.  
**წ**კმისა ბურჯი არს. წყლისაგან და მას შინა მყოფთა  
 20 სულიერთაგან კირჩხიბი, კუჲ, წურბელი, მყუარნი და  
 მიწისა ჭიაჲ — ყოველი მისი არს. **ბ**ღეთაგან ორშაბა-  
 თი მისი არს.

**ჩ**ინცა ამას ეტლსა ზედა იშვას, კაცი არცა გრძე-  
 ლი, არცა მოკლე; და ზოგი მოკლე, ცხვრ-მრუდი და  
 25 კბილ-მრუდი და თმა-წურილი და წვე-გრძელი. **ბ**ა  
 კაცი ესთენ სუბუქი, რომელ ერთსა სიტყუასა და ერთ-  
 სა საქმესა ზედა არ დადგებოდის. **შ**აგრა კაცი მხიარუ-  
 ლი და მ]ლადობელი და სიტყუა-წყლიანი და უხვ.  
**შ**ისსა სიცოცხლესა შიგან ოთხი ფათერაკი შეემთხვ-  
 30 ოს: პირველი, ჰავისა კაცისაგან სავნებელი მიხუდეს;  
 მეორე, რომელ მკებნარმან რამამე უკბინოს; მესამე,  
 წყლისაგან; და მეოთხე, თავქედისაგან.

**ჩ**სე ბურჯი სამ-ნაწილი არს: პირველი ნაწილი ათ  
 დარაჯამდის შთიებისაჲ არს, მეორე — **ა**ტერიდისაჲ,  
 35 მესამე — **შ**თოარისაჲ. **ჩ**ინცა შთიებისა ნაწილსა ზე-  
 და იშვას, კაცი კეკლუცი და კაცთ მოყუარე იყოს, ტა-  
 ნისა და ტანის სამოსისა წმიდისა და სულნელისა და  
 მგონისა მოყუარე იყოს. **ბ**ა თუ **ა**ტერიდისა ნაწილსა  
 ზედა იშვას, არცა მოკლე იყოს, არცა გრძელი, თით-  
 40 -წურილი და მწერალი. **ტ**ნგარიშნი კარგად [ი]ცოდ[ი]ს.  
**ბ**ა შთოარისა ნაწილსა ზედა თუ იშვას, კაცი იყოს  
 კეკლუცი[ი] და [ა]წარბ-შეყრი[ლი], [358] მკერდი ფარ-  
 თოჲ და მრავალთ მოყუარე, პირ-მრგუალი, ტან-  
 45 -მრგუალი და ქების მოყუარე და ჰამაჰაჰასა მართალსა  
 იტყოდის და ჰამაჰაჰასა ტყუოდის და სიტყუასა მრავალ-  
 ფერად აქცევდეს. **ჩ**ინცა **რ** და მე-**რ** და მე-**რ**  
 დარაჯასა იშვას, ბედიანი იყოს. **ბ**ა ოთხშაბათი დღე  
 არ აშუნდეს. **ჩ**სე ეტლი სარკინოზთაჲ არს.

5. **ხ** ო მ ი, რ ო მ ე ლ ს ა ა რ ა ბ უ ლ ა დ  
 კ რ ქ ჯ ა ნ **ტ** ს ა დ

**ხ**ომისა ბურჯი შხისა სახლი არს და **ხ**უალისა ვა-  
 ბალი. **ც**ეცხლისაჲ არს და მის **ც**ეცხლისაჲ, რომელ





ქვასა შიგან არს. ~~თა დღისაჲ არს და მჭურვალნი და წმე-~~  
ლი არს და მამალი არს. ~~თა კაცისა ნივთთაჲსა~~  
5 რაჲ მისი არს. ~~თა აღმოსავლეთისაჲ არს. თა რაჲ შუე~~  
ამას ბურჯსა შიგან მოვიდეს, გვანად აღმოჰქედების და  
ადრე ჩაჰქედების. ~~თა შუა ზაფხული იყოს და სიცხისა~~  
ქამი. ~~ესე ბურჯი ქრისტიანეთაჲ არს და მეფეთა და~~  
მთავართაჲ. ~~თა კაცისა ასოთაგან გული და სტომაქი და~~  
10 ღვძლი და ზურგი მისი არს. ~~თა ქუეყანათაგან ძურქე-~~  
თი. ~~ჰაჲცა აშენებული არს, მისია. თა ღუარასნისაგან~~  
ღოსი და ჩიშა[ბ]ური და ~~ძარმიდი მისი არს, და~~  
სერუსალიმი მისი არს, და ~~სკალონი და ჩისიბინი მი-~~  
სი არს და ~~შელიტენიაჲ. თა ადგილთაგან სანადირონი~~  
15 და კოშკნი მისნია, მეფეთა საჯდომი [359] და ციხენი  
მაღალნი, რომელ მათა მაღალთა ზედა იყუნენ. სუ-  
ლიერთაგან რანიცა ჭანგოსანნი არიან, ჯელისუფალ-  
თაგან — დრაჰუნისა და დრამისა მჭედელნი და მონა-  
დირენი მისნი არიან. ~~თა ხეთაგან რაჲცა დიდნი და~~  
20 სსზლნი და მაღალნი არიან. ~~თა დღეთაგან — კვრიჲა.~~  
ჩინცა ამას ეტლსა ზედა იშვას, კაცი რომელი იშ-  
ვას, ჯელმწიფეთა ბუნებაჲ ჰქონდის, შესახედავად სა-  
შინელი, დიდი და ზაროანი იყოს. ~~თა დღე-გრძელი~~  
იყოს, ტან-გრძელი და მკერდ-ბრტყელი, პირ-ფარ-  
25 თოჲ და თით-სსზლი, ზოგი მომწითურე და თუალ-  
-ქიფქაფი, და დიდი და კეკლუცი და წურ-მრგული და  
გონება-მასზლი, მუცელ-დიდი და ასო-სსზლი, და  
წვსა<sup>1</sup> ზედა ნიშანი, და ჯელმწიფეთაგან როჭიკიანი  
და პატივიანი და მრავლის მგონებელი და მრისხანე და  
30 ამპარტავანი. ~~თა მიწასა შინა პატიოსანი რაჲმე პოოს,~~  
და მისგან გაიხარნეს და კაცი სიკუდილისაგან იქსნეს.  
თა სახელი მისი დიდ იყოს. ~~თა სიყმისა ქამსა სიმაღლი-~~  
სა რაჲსაგანმე და სნებისაგან და ცეცხლისაგან ფათე-  
რაკი შეემთხვოს და მშუდობით დარჩეს. ~~თა ჯელისუფ-~~  
35 ლობასა რასაცა ცეცხლითა მოქმედებდენ, მისგან სარ-  
გებელი ჰქონდის. ~~თა შაბათი დღე არ აშუნდეს.~~  
ესე ბურჯი სამ-ნაწილი არს: პირველი ნაწილი  
ხუჰალისაჲ ათ დარაჯამდის, მეორე ნაწილი შუშთა-

<sup>1</sup> ამის წინ კიდევ სწერია «და წვვ».



40 რისაა არს ოც დარაჯამდის, და მესამე ნაწილი შარხული  
სისაა არს ოცდაათ დარაჯამდის.

ჩინცა ხუჭალისა ნაწილსა ზედა იშვას, კაცი მომჭ-  
ლე იყოს და ტან-გრძელი, შავ-გრემანი და ჭელ-გვანი  
და კაცთაგან შემეცნიერებული და შესწავლული.

45 ოა თუ შუშთარისა ნაწილსა ზედა იშვას, პირ-  
კეკლუცი, შუა კაცი და ღირსი და ფილოსოფოსი იყოს.

ოა შარხისისა ნაწილსა ზედა თუ იშვას, კაცი მწი-  
თური იყოს, მტყუვანი და სიძვისა მოყუარე, დედათ  
მოყუარე და კაცთა შუა შფოთისა მქუსველი, პირ-ჰა-  
ვი და მგინებარი და კაცთა შემაწუხებელი.


50 ოა ვინცა მეორესა და მესამესა და მეხუთესა და მე-  
თორმეტესა და მეოცესა დარაჯასა იშვას, ბედიანი  
იყოს.

6. ქალწული, რომელსა არაბულად  
ჰირქვან სუმბულა

ქალწულისა ბურჯი ოტერიდისა სახლი არს და  
მისივე შარაფი და შთიებისა ჰუბუტი. ოა მიწისაა არს,  
იგი მიწაა, რომელ ნაყოფსა გამოიღებდეს. იამისაა  
არს და გრილი და ჯმელი არს. ბედალი არს და კაცისა  
5 ნივთთაგან სუვდაა მისი არს. ოა სამხრისაა არს და  
ორ-ბუნებაა არს, ამისთჳს რომელ, რაა შუე ხუთმეტ  
დარაჯამდის მოვიდეს, ნახევარი პირველი მისი ზა-  
ფხულისა ბუნებაა არს და ნახევარი შემდგომი მისი  
სთულისა ბუნებაა არს, და ზაფხულისა ბოლოა არს. ოა  
10 შუე ამას ბურჯსა შიგან რაა იყოს, გვანად ამოჰქდე-  
ბის და ადრე ჩაჰქდების. ყმა-მალალი არს და ბერწი  
არს. ოა ვაზირთა და მწიგნობართა უხუცესთაა არს,  
და კაცისა ასოთაგან მუცელი და მარჯუენაა გუერდი  
და მარჯუენაა მუქლი მისი არს. ქუეყანათაგან ოსუ-  
15 რასტანისა კუნძულნი და ოამასკი და ოოსილი, ოარსი  
[361] და ყირაზი და ოსთარაბადი<sup>1</sup> და სარი, ოაქრი-  
თი. ოა ადგილთაგან მწიგნობართ უხუცესთა საჯდომი  
და ვენაჯნი და ბოსტანნი და ნაფუძარნი და სამკაული-  
სა მოთხენი მისნია. ოა ოქრომჭედელთა მსახურობაა

<sup>1</sup> დასთარაბადი.





- 20 მისი არს. **ბა** სულიერთაგან ტუტაქი და იადონი, შაშუ და ჩიტი და კურიონი და რააცა ჰამო-ჰმაჯ არს, მისიამელი და კატაჲ ველური და შინაური და ძაღლი; ქელისუფალთაგან მწერალნი და მეჭრელებნი. **ბა** ფერთაგან ყუთელი, რომელი თეთრსა ჰგვანდეს. **ბა** დღეთაგან ოთხშაბათი მისი არს.

ჩინცა ამას ეტლსა ზედა იშვას, კაცი ბრძენი და გონიერი და მართალი იყოს, და პირ-შუენიერი და უხვ, არცა მჭლე იყოს, არცა მსუქანი, თუალ-ფართო იყოს და რააცა დაესწავლოს<sup>1</sup>, ყოველსავე გონებად  
 30 მოიღებდეს და აქსოვდეს. **ცხვრ-მაღალი**<sup>2</sup> და საუბნარად წყლიანი და კაცთა სიახლედ საყუარელი და წიგნის მოყუარე, მოწყალე და მისთა მქებელთა მოყუარე. **ბა** მტერნი ვერ[ა]ს ავნებდენ, და სიკეთისა მუქაფასა ადრე მიუზღვიდეს. **შაგრა** ზოგი სიძვის მოყუარე იყოს. **ბა** სიმჭურვალისაგან და წყლულისა და ჰავისა კაცისაგან ფათურაკი ედვას. **ბა** მუცელსა და წელსა ნიშანი იყოს.

ესე ბურჯი სამ-ნაწილი არს: პირველი ნაწილი ათ დარაჯამდის შზისაჲ არს, მეორე ნაწილი ოც დარაჯამდის შთიებისაჲ არს, მესამე ნაწილი ოცტერიდისაჲ არს ოცდაათ დარაჯამდის.

ჩინცა შზისა ნაწილსა ზედა იშვას, კაცი პირ-კეკლუცი და თუალ-შუენიერი და მოყვითანე და მამაცური იყოს, და ასო-მტკიცე და გულოანი. **ბა** თუ მთიებისა ნაწილსა ზედა იშვას, ჯმა-შუენიერი იყოს და ჯმაჲ  
 45 შუენიერი და პირი შუენიერი და სამოსელი შუენიერი და სამკაული შუენიერი უყუარდეს და განმცხრომი და ღვნის მოყუარე იყოს.

**ბა** თუ ოცტერიდისა ნაწილსა ზედა იშვას, ბრძენი  
 50 და მწიგნობარი იყოს ანუ მოშაპირე.

ჩინცა მესამესა და მეთორმეტესა და მეოცესა დარაჯასა ზედა იშვას, ბედიანი იყოს. **ბა** პარასკევი დღე არ აშუნდეს. [362]

<sup>1</sup> დაესწავლოს და, აქ «და» ზედმეტია..

<sup>2</sup> ცხვრ-მ[ ]ი.




7. სასწორი, რომელსა არაბულად  
ჰრქვან შიხან

სასწორისა ბურჯი შთიებისა სახლი არს და შიხისა  
 ჰუბუტი არს და შარხისა ვაბალი და ხუჰალისა შარა-  
 ფი. **5** **10** **15** **20** **25** **30** **35** **40** **45** **50** **55** **60** **65** **70** **75** **80** **85** **90** **95** **100** **105** **110** **115** **120** **125** **130** **135** **140** **145** **150** **155** **160** **165** **170** **175** **180** **185** **190** **195** **200** **205** **210** **215** **220** **225** **230** **235** **240** **245** **250** **255** **260** **265** **270** **275** **280** **285** **290** **295** **300** **305** **310** **315** **320** **325** **330** **335** **340** **345** **350** **355** **360** **365** **370** **375** **380** **385** **390** **395** **400** **405** **410** **415** **420** **425** **430** **435** **440** **445** **450** **455** **460** **465** **470** **475** **480** **485** **490** **495** **500** **505** **510** **515** **520** **525** **530** **535** **540** **545** **550** **555** **560** **565** **570** **575** **580** **585** **590** **595** **600** **605** **610** **615** **620** **625** **630** **635** **640** **645** **650** **655** **660** **665** **670** **675** **680** **685** **690** **695** **700** **705** **710** **715** **720** **725** **730** **735** **740** **745** **750** **755** **760** **765** **770** **775** **780** **785** **790** **795** **800** **805** **810** **815** **820** **825** **830** **835** **840** **845** **850** **855** **860** **865** **870** **875** **880** **885** **890** **895** **900** **905** **910** **915** **920** **925** **930** **935** **940** **945** **950** **955** **960** **965** **970** **975** **980** **985** **990** **995** **1000**

და ჰაერისა არს, — იგი ჰაერი, რომელ ყუავილსა  
 გამოიღებს და ხილსა დაამწიფებს. **5** **10** **15** **20** **25** **30** **35** **40** **45** **50** **55** **60** **65** **70** **75** **80** **85** **90** **95** **100** **105** **110** **115** **120** **125** **130** **135** **140** **145** **150** **155** **160** **165** **170** **175** **180** **185** **190** **195** **200** **205** **210** **215** **220** **225** **230** **235** **240** **245** **250** **255** **260** **265** **270** **275** **280** **285** **290** **295** **300** **305** **310** **315** **320** **325** **330** **335** **340** **345** **350** **355** **360** **365** **370** **375** **380** **385** **390** **395** **400** **405** **410** **415** **420** **425** **430** **435** **440** **445** **450** **455** **460** **465** **470** **475** **480** **485** **490** **495** **500** **505** **510** **515** **520** **525** **530** **535** **540** **545** **550** **555** **560** **565** **570** **575** **580** **585** **590** **595** **600** **605** **610** **615** **620** **625** **630** **635** **640** **645** **650** **655** **660** **665** **670** **675** **680** **685** **690** **695** **700** **705** **710** **715** **720** **725** **730** **735** **740** **745** **750** **755** **760** **765** **770** **775** **780** **785** **790** **795** **800** **805** **810** **815** **820** **825** **830** **835** **840** **845** **850** **855** **860** **865** **870** **875** **880** **885** **890** **895** **900** **905** **910** **915** **920** **925** **930** **935** **940** **945** **950** **955** **960** **965** **970** **975** **980** **985** **990** **995** **1000**

<sup>1</sup> აქ ამოშლილია ერთი სიტყვა.  
<sup>2</sup> მოსალოდნელი იყო ღვინის განმსყიდელნი.





ესე ბურჯი სამ-ნაწილი არს: პირველი ნაწილი<sup>1</sup>  
 ათ დარაჯამდის შთოარისაჲ არს, მეორე ოცამდის  
 35 ხუალისაჲ არს, მესამე ოცდაათამდის<sup>2</sup> შუშთარისაჲ  
 არს.

ჩინცა შთოარისა ნაწილსა ზედა იშვას, პირ-მგუა-  
 ლი<sup>3</sup> და ტან-მოკლე იყოს და მანქლიოზი.

თა თუ ხუჰალისა ნაწილსა ზედა იშვას, მომწუანე  
 40 იყოს და თმა-მრავალი და შენების მოყუარე. თა  
 ზურგსა ზედა და ძუძუსა ქუეშე ნიშანი იყოს, და ზარ-  
 მაცი იყოს.

თა თუ შუშთარისა ნაწილსა ზედა იშვას, სჯულისა  
 მოყუარე და სჯულისა შემნახავი და ცნობილი. თა სა-  
 45 სულიეროჲსათჳს კარგისა მოქმედი იყოს.

თა თუ მესამესა და მეხუთესა და მეოცდაერთესა<sup>4</sup>  
 დარაჯასა ზედა იშვას, ბედიანი იყოს. თა თუ ბოლოსა  
 ზედა იშვას ამის ბურჯისასა, არ ბედიანი იყოს. თა  
 შაბათი დღე არ აშუნდეს.

8. ი რ ი ა ნ კ ა ლ ი, რ ო მ ე ლ ს ა  
 ა რ ა ბ უ ლ ა დ ჰ რ ქ ჯ ა ნ ო ყ რ ა ბ

ირიანკალისა ბურჯი შარხისა სახლი არს და  
 შთოარისა ჰუბუტი და შთიებისა ვაბალი. წყლისაჲ არს  
 და იგი წყალი, რომელ წჳმისაგან ჳევთა შიგან ღუარი  
 შეიქმნების მდინარე და ჳევთა წყალი. თა ჩრდილოჲსა<sup>5</sup>  
 5 არს და ღამისაჲ არს და გრილი და ნედლი არს და დე-  
 დალი არს. თა კაცისა ნივთთაგან ბალღამი მისი არს. თა  
 რაჲ შუე ამას ბურჯსა შიგან მოვიდეს, გჳანად აღმოჰ-  
 ჳდების და ადრე ჩაჰჳდების. თა შუა სთუელი არს. თა  
 ესე ბურჯი ძურქთაჲ არს. თა დღეთაგან სამშაბათი  
 10 მისი არს. Ⴀჳჳმოჲ არს და შვილ-მრავალი. თა კაცისა  
 ასოთაგან ბუშტი და ყუერი და გუამი მისი არს. თა

<sup>1</sup> ნაწილი] ბურჯი.

<sup>2</sup> ოცდაათამდის.

<sup>3</sup> ასეა.

<sup>4</sup> «თე» მარცვალი ორჯერ არის დაწერილი: მეოცდაერ-  
 თეთესა.

<sup>5</sup> ასეა.



ხეთაგან რაეცა არ დია მაღალი იყოს. **ბა ქალაქთაგან**  
 4 **ყელია ტრაბეთისაჲ, ძეჲ, ნაჰაჲვანი და ტრადველი**  
 და **ყომისი.** **ბა ადგილთაგან** საპყრობილენი და იგი  
 15 ა[365]დგილნი, სადა სცემდენ და ჯოცდენ. **ბა ავაზაკ-**  
 თა<sup>1</sup> და მპარაეთა და ჰაჲვის მოქმედთა საჯდომი და  
 სახარაბათოჲ; სულიერთაგან ღრიანკალი და ფუტკარი,  
 მწავი და წყლისა ჰიანი; ჯელისუფალთაგან მენაჲვე, ჯე-  
 ლის განმქსნელი ჰაჯამი, დასტაქარი და გრძნეულობაჲ.  
 20 **ბა ფერთაგან** ოქროჲს ფერი მისი არს.

